



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მინის რწყილები



მინის რწყილები

მინის რწყილები (Alticinae Halticinae), ხოჭოების ქვეოჯახი ფოთლიჭამიასებრთა ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძე 1,5–20 მმ აღწევს. ცნობილია მ. რ-ის 10000-მდე სახეობა, მ. შ. აღსანიშნავია ჭია-წურბელა, სატაცურის ჭახია, წინმატის ფოთლიჭამია, მჟაუნას ფოთლიჭამია, თხილის რწყილი, ვაზის რწყილი, პურის რწყილი და სხვ. მცენარიჭამიებია. გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული 71 სახეობა. მ. რ-ს აქვთ

გაგანიერებული უკანა ფეხები, რ-თა მეშვეობითაც დახტიან. ხოჭოები აზიანებენ ფოთლებს, მატლები – ფესვებსა და ღეროებს. სოფლის მეურნეობაში მ. რ. ერთ-ერთ ძირითად მავნებლად ითვლებიან.

ა. ბუნნიკაშვილი
